ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N33

ქ.თბილისი 18 დეკემბერი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

რამინა ბერაძე	ლევან არველაძე
გიორგი გაბაშვილი	გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია	გულია გოცირიძე
ბექა დავითულიანი	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	გიორგი დოხტურიშვილი
გოჩა თევდორაძე	ირაკლი ზარქუა
ანა ლაშხი	ფრიდონ ინჯია
თინათინ ნიბლოშვილი	ერეკლე კუხიანიძე
ელენე ოზაშვილი	ნინო ლაცაბიძე
დათო ჟღენტი	ქეთევან მამულაშვილი
რევაზ სოხაძე	შალვა ოგბაიძე
დავით უთმელიძე	ლევან ჟორჟოლიანი
თარაშ შურღაია	თამარ ტალიაშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ვახტანგ შაქარიშვილი
დავით ჭელიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ვლადიმერ ძნელაძე
ილია ჯიშკარიანი	ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე	ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ბოლო ორი თვეა, ქვეყანაში მიმდინარეობს დაძაბული პოლიტიკური პროცესები, თუმცა შექმნილ მდგომარეობას ხელისუფლება არაადეკვატურად აფასებს. მისი თქმით, ქვეყანა და საზოგადოება ორად არის გაყოფილი და იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება ცდილობდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებთან დიალოგს და კომუნიკაციას, „თამაშობს წესების გარეშე, რაც, ძალიან სამწუხაროა და, პირველ რიგში, ძალიან ცუდია ქვეყნისთვის". განაცხადა, რომ წინასაარჩევნოდ მოხდა ადმინისტრაციული რესურსის სრული გამოყენება, პირდაპირი მოსყიდვები, ძალადობა, გაყალბება და ამ პროცესს რთულია ეწოდოს არჩევნები. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ მილიონამდე ადამიანმა მის წინააღმდეგ მისცა ხმა და ის, რომ არსებულ პრობლემებს ვერ ხედავს, ამის დასტურია თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტიც, სადაც შემცირებულია ავარიული სახლების, სოციალური სასადილოების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა პროგრამების დაფინანსება და გაზრდილია ბიუროკრატიის და წარმომადგენლობითი ხარჯები. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ „ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ წინ გველის, ალბათ იქნება ბიუჯეტის განხილვა, მაშინ შემოგიერთდებით, ახლა კი დაგტოვებთ, რომ ეს რიგითი საკითხები უჩვენოდ განიხილოთ". გიორგი გაბაშვილის განცხადების შემდეგ, ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ოპოზიცია საუბრობს არაკომპეტენტურად, რადგან თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით არათუ შემცირებული, არამედ გაზრდილია, როგორც უფასო სასადილოების, ასევე აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა პროგრამის დაფინანსების მიმართულებით და განაცხადა, რომ „საქართველო არ იმსახურებს ასეთ მარგინალურ ოპოზიციას". მისი თქმით, საზოგადოება არ არის ორად გაყოფილი და ოპოზიციას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ნებისმიერი საკითხის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა მათი მიზანია „შოუს გამართვა". ირაკლი ზარქუამ აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია არაერთი საკითხი, რომელიც ეხება უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემას იმ პირებისთვის, რომლებიც ამა თუ იმ მისამართზე ათეულობით წელია ცხოვრობენ. მისი თქმით, თითოეული ასეთი საკითხი მიმართულია თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე და ამიტომ მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომას ესწრებიან ის ადამიანები, რომლებსაც საკუთრებაში უნდა გადაეცეთ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები და კარგი იქნება, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ეხება მოქალაქეების კეთილდღეობას და უკეთეს მომავალს.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ნამდვილად არის დაძაბული გარემო, თუმცა ეს არის მხოლოდ ერთი ოპოზიციური ძალის დამსახურება, რომელსაც არ უნდა დიალოგი, რისი დასტურიც არის ის, რომ ბოიკოტის ნიშნად რიგ-რიგობით ტოვებენ საკრებულოს სხდომას, სადაც სწორედ რომ დიალოგის რეჟიმის ადგილი და სივრცეა.

გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „პატრიოტთა ალიანსი" საზოგადოებას წარუდგენს იმის დამადასტურებელ საბუთებს, რომ ოპოზიციას არჩევნებში 780000 ხმა არ მიუღია. თუმცა, როდესაც საუბარია „მარგინალურ ოპოზიციაზე, რომელსაც არ

იმსახურებს ქვეყანა“, უნდა ითქვას, რომ ეს ოპოზიცია არის ხელისუფლების მიერ შექმნილი, ხელშეწყობილი და რეაბილიტირებული. „პატრიოტთა ალიანსი“ უკვე დიდი ხანია მოუწოდებს ხელისუფლებას, შეისწავლოს წინა ხელისუფლების მოღვაწეობის პოლიტიკური შეფასება და თუ ის რეჟიმი იყო დანაშაულებრივი, ამოქმედდება თანმდევი პროცესები და ამ ოპოზიციისგან შექმნილი პრობლემები აღარ იქნება არც საკრებულოს დარბაზში და არც ქვეყანაში.

გიორგი ბირბიჩაძემ, გიორგი გაბაშვილის განცხადებაზე, რომ თითქოს სოციალური მიმართულებით დაფინანსება კლებულობს, განმარტა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა პროგრამით 2018 წელს დაფინანსებული იყო 750 ბენეფიციარი, ხოლო 2019 წელს მათი რაოდენობა იზრდება 850-მდე. ასევე, იზრდება დაფინანსება უფასო სასადილოების მიმართულებით 1723100 ლარით. შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით, წარმოდგენილია სოციალური მიმართულების დაფინანსების მატება და არა კლება.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ „სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობს, როგორც უფლების დაცვა, ასევე, უფლების შეზღუდვაც და ამ უფლების დაცვას და შეზღუდვას აქვს თავისი საზღვრები. ხოლო, ერთის ან მეორის განხორციელებისას, იმ სიმაღლეებზე არ უნდა ავიჭრათ, რომ ბოლოს აღმოვჩნდეთ მთვარეზე და ჩვენი ოპონენტები ზუსტად არიან ეხლა მთვარეზე და ვერ გრძნობენ იმ რეალობას, რა რეალობაც არის ქვეყანაში“. მისი თქმით, ოპოზიციას ძალიან უნდა, რომ საზოგადოება იყოს ორად გაყოფილი, თუმცა, საზოგადოებამ არჩევნებზე გამოხატა ნება, რომ ხელისუფლების ცვლილება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ცივილურად, მშვიდობიანი გზით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

2. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

3. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუსი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „ქალაქ თბილისში, ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის N E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ.: 60001122517) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ.: 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.029.001) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის“ (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ.: 01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ. N34-ის მე-6 სართულზე („ა“ ბლოკი) მდებარე ბინა N42-ის (ს/კ.: N01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუსი 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის (ს/კ.: N01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ.: 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის“ (ს/კ.: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.334) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. N34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

25. „ქალაქ თბილისში, ლისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორია, სოფელი აგარაკები ს/კ.: N72.16.27.021, 72.16.09.146, 72.16.09.149, 72.16.09.148, 72.16.09.147, 72.16.09.150, 72.16.27.018(საერთო ფართობი 23513 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალას მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N72.16.27.071, N72.16.27.082, N72.16.27.072, N72.16.27.091, N72.16.27.092, N72.16.27.078, N72.16.27.076, N72.16.27.086, N72.16.27.075, N72.16.27.094, N72.16.27.084, N72.16.27.088, N72.16.27.074, N72.16.27.087, N72.16.27.081, N72.16.27.090, N72.16.27.073, N72.16.27.077, N72.16.27.080, N72.16.27.085, N72.16.27.079, N72.16.27.083, N72.16.27.093, N72.16.27.089) და ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.16.27.101, N72.16.27.100, N72.16.27.098, N72.16.27.099, N72.16.27.097) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საგარაკე - დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1994 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუსი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 2 პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2002 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ზერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 958 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 19 პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2002 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 286 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 7 ოჯახისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1997 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც 16 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც 16 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 94 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც 28 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 144 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც 15 წელზე მეტია, ოჯახთან ერთად, ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 2 ფართის (43 კვ.მ. და 38 კვ.მ) საკუთრებაში გადაცემა 1 პირისთვის, რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1965 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის N E-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ.: 60001122517) გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მოქალაქეს გადაცემული ჰქონდა მიწის ნაკვეთი, კვების ობიექტის განთავსების მიზნით. თუმცა, არქიტექტურის სამსახურისგან, ვერ მიიღო ნებართვა, რის გამოც ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა და ასევე, დაეკისრა პირგასამტეხლო. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა მოქალაქემ ვერ ნახა სარგებელი, წარმოდგენილია მისი გათავისუფლება, როგორც დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასევე საწყისი თანხის გადახდისგან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ.: 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიამ, საკუთარი სახსრებით, განახორციელა 5 ერთეული მიწისზედა

გადასასვლელის მშენებლობა, რის სანაცვლოდაც, აღნიშნულ გადასასვლელებზე, უფასოდ განათავსებდა სარეკლამო ბანერებს და რეკლამებიდან მიიღებდა გარკვეულ შემოსავალს. თუმცა, ერთ-ერთი გადასასვლელი მოხვდა ვაშლიჯვრის ესტაკადის პროექტირების არეალში. ხიდის დემონტაჟისთვის გაწეული ხარჯის დაფარვის და 2023 წლამდე რეკლამიდან მისაღები შემოსავლის სანაცვლოდ კომპანიას, კომპენსაციის სახით, გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ავტოსადგომის მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ კომპანია, ფასთა სხვაობას, კომპანია დაფარავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.029.001) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის“ (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ.: 01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ. N34-ის მე-6 სართულზე („ა“ ბლოკი) მდებარე ბინა N42-ის (ს/კ.: N01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ქალბატონისთვის, რომელმაც 90-იან წლებში, რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ პირებს გადასცა რამდენიმე კოტეჯი, თუმცა სანაცვლოდ, დღემდე არ მიუღია არანაირი სახის კომპენსაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუსი 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის (ს/კ.: N01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის საფუძველზეც საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცემა მიწისძვრით დაზარალებული პირს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ.: 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის" (ს/კ.: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის და ფუნქციონირების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.334) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ეკლესიისთვის საჭირო შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. N34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კუს ტბის ასახვევში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცემული იყო სასტუმროს მშენებლობის ნებართვა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიის შენარჩუნება, მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ კომპანიას, სასტუმროს მშენებლობის შეჩერების და მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნების სანაცვლოდ, გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შესაბამისი ღირებულების, ორი მიწის ნაკვეთი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 8 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 დეკემბრის წერილები: N12-031834875-03 (4 პოზიცია) და N12-031834876-03 (4 პოზიცია), რომელთაგან საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გაიდადოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-031834876-03 წერილით წარმოდგენილი პირველი, მეორე და მეოთხე პოზიციები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, ლისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორია, სოფელი აგარაკები ს/კ.: N72.16.27.021, 72.16.09.146, 72.16.09.149, 72.16.09.148, 72.16.09.147, 72.16.09.150, 72.16.27.018(საერთო ფართობი 23513 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სააგარაკე, დასასვენებელი სახლების განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალას მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N72.16.27.071, N72.16.27.082, N72.16.27.072, N72.16.27.091, N72.16.27.092, N72.16.27.078, N72.16.27.076, N72.16.27.086, N72.16.27.075, N72.16.27.094, N72.16.27.084, N72.16.27.088, N72.16.27.074, N72.16.27.087, N72.16.27.081, N72.16.27.090, N72.16.27.073, N72.16.27.077, N72.16.27.080, N72.16.27.085, N72.16.27.079, N72.16.27.083, N72.16.27.093, N72.16.27.089) და ქალაქ თბილისში,

სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N72.16.27.101, N72.16.27.100, N72.16.27.098, N72.16.27.099, N72.16.27.097) არსებულ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკე - დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალი შეადგენს 20558 კვ.მ.-ს, ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სააგარაკე, დასასვენებელი, საცხოვრებელი სახლების განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება და 25 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი